პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 30 მარტი, 1943 № 74 (6699). ფასი 20 კაპ.

პარტორგანიზაციები საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლაში

საგაზაფხულო თესვა უკვე მასობრივად ჩადგება. პარტორგანიზაციებს უაღრესად სერიოზული ამოცანები აკისრიათ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ ჩატარებისა და უხვი სამხედრო მოსავლის მიღების საქმეში. ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ თესვის წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლას, უზრუნველყონ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება, ფართოდ გაშალონ აგიტაციო-პროპაგანდა, დარაზმონ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, სოფლის მთელი აქტივი, დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ კომკავშირს მის წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანების სანიმუშოდ შესრულებისათვის. თესვის სანიმუშოდ ჩატარება სწყვეტს უხვი მოსავლის მიღების საქმეს.

თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, წალენჯიხის, ზუგდიდის, წითელწყაროს, ახალქალაქის, ასპინძის, მახარაძის, ხაშურის, ლანჩხუთის, ბორჩალოს რაიონებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, აჭარის ასს რესპუბლიკის ბათუმისა და ხულოს რაიონებმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალისა და ოჩამჩირის რაიონებმა გასულ წელს კარგად იმუშავეს, სხვა რაიონებთან შედარებით უკეთესად შეასრულეს სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარების გეგმები. ეს წარმატებები უპირველეს ყოვლისა პარტორგანიზაციების ოპერატიული, მოქნილი და უნარიანი მუშაობის შედეგი იყო. წელსაც ასევეა საჭირო, მაგრამ უფრო მეტად, ვიდრე შარშან. იმის გამო, რომ პარტიულ-მასობრივი და ორგანიზატორული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, ყვარლის, თელავის, საგარეჯოს, თბილისის, წულუკიძის, ვანის, ყარაიის, ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა გასულწელს ვერ შესძლეს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულება. მათ არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს.

როგორი მდგომარეობაა წელს?

რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები ბოლშევიკური მზადყოფნით შეხვდნენ საგაზაფხულო თესვას. მთელი რიგი მტს-ები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ—მათ დროზე და ვადაზე ადრე დაამთავრეს შანქანა-იარაღების რემონტი. მაგრამ ზოგიერთი მტს-ი, მაგალითად სადახლოსი, ლუქსემბურგისა, შირაქისა, წითელწყაროსი, წალკისა, თიანეთისა, ოკამისა და სტალინირისა, ჩამორჩნენ ტრაქტორების რემონტის საქმეში. ამ მტს-ების დირექტორებმა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა ვერ უზრუნველჰყვეს ტრაქტორების მაღალხარისხოვანი რემონტის დროზე დამთავრება.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთათვის მზადების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ყოველდღიურ ოპერატიულ მუშაობას, ბოლშევიკურ ბრძოლას უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად. პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების, პოლიტგანყოფილებების წინაშე დგას უაღრესად სერიოზული, უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები თესვის ბოლშევიკურად ჩატარების საქმეში.

ბევრი რამ არის დამოკიდებული საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების მოქნილ მუშაობაზე. ისინი უშუალოდ ადგილზე ხელმძღვანელობენ თესვის საქმეს. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჩადუნიანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხლის“ პირველადა პარტორგანიზაციამ 25 თებერვალს პარტიულ კრებაზე განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის მზადყოფნის საკითხი და მიიღო კონკრეტული დადგენილება. შემდეგ როგორ მოიქცა? იგი დადგენილების მარტოოდენ მიღებით როდი დაკმაყოფილდა. 7 მარტს პარტიულ კრებაზე განიხილეს, თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება. შესრულების შემოწმებამ საქმე წინ წასწია. ახლა ეს კოლმეურნეობა სავსებით მზად არის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, უკვე დასთესა თამბაქო ღია კვლებში, კარტოფილი და მზესუმზირა. თესვის საქმეს ასევე კონკრეტულად ხელმძღვანელობენ სოფელ ცოდნის ორჯონიკიძისა და სოფელ აფენის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობათა პირველადი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები.

ქობულეთისა და ლაგოდეხის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ინიციატივის საფუძველზე საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მისაღებად. პარტორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ შეჯიბრებას, დაეხმარონ შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლმეურნეობებს, ბრიგადებს, რგოლებს, ცალკე კოლმეურნეებს. ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებზე, მათ ინსტრუქტორებზე, ინსტრუქტორების ოპერატიულ მუშაობაზე, მიმაგრებული ამხანაგების პასუხისმგებლობის გრძნობაზე. პარტორგანიზაციებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული კონტროლის უფლება. გამოიყენონ აგიტკოლექტივები, საველე გაზეთები, პარტკაბინეტები თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

რაიკომის პლენუმის, ბიუროს მიერ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საკითხის განხილვის შემდეგ მიღებული ღონისძიებანი განუხრელად უნდა გატარდეს ცხოვრებაში. რაიკომებმა და პარტორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ კოლმეურნეები სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ღონისძიების დასახვა არ ნიშნავს საქმის დამთავრებას, საჭიროა პრაქტიკული დახმარება მის განსახორციელებლად.

ქობულეთის რაიკომმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების საქმეს. ამ საკითხზე ამასწინათ რაიონში ჩატარდა თათბირი, რომელზეც მოისმინეს და განიხილეს ინფორმაციები ადგილებიდან. თათბირს ესწრებოდნენ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პარტორგანიზაციების მდივნები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ასეთი საქმიანი, კონკრეტულ საკითხებზე მოწვეული თათბირი უდავოდ მნიშვნელოვანია. იგი გვეხმარება მუშაობაში, ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, გვრაზმავს სოფლის მეურნეობის საბრძოლო ამოცანათა სანიმუშოდ შესრულებისათვის. თათბირს ყოველთვის პრაქტიკული შედეგი უნდა მოჰყვეს. ეს არის მთავარი. ამას ყოველთვის უნდა მიაღწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ახლა სოფელში ძირითად მუშახელს ქალები და ახალგაზრდები წარმოადგენენ. ხელმძღვანელ სამუშაოებზე დაწინაურდნენ ახალი კადრები. საჭიროა პირველადმა საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატიური დახმარება და მზრუნველობა გაუწიონ ამ ახალდაწინაურებულ კადრებს, ბრიგადირებსა და რგოლის ხელმძღვანელებს.

კომკავშირი უდიდეს როლს ასრულებს საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად ჩატარებაში. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად სოფლის მთელი ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში. ამ მხრივ ცოტა მუშაობა როდი ეკისრებათ მტს-ების პოლიტგანყოფილებებს.

კომუნისტები ავანგარდში არიან. ისინი მაგალითს აძლევენ მასებს, რაზმავენ და წინ მიჰყავთ ისინი. სოფლად ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა გაჩაღებულია ბრძოლა უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ, ამავე საკითხზე საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული ორგანიზაციების სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს.

საჭიროა გავადიდოთ სათესი ფართობები, მტკიცედ დავნერგოთ მოწინავე აგროტექნიკა და 1943 წელს მივიღოთ უხვი სამხედრო მოსავალი.

ასეთია პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები.

მიმდინარე წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ბოლშევიკური ჩატარებით ჩვენ დავეხმარებით წითელ არმიას, რომელიც საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** მხედართმთავრობით გმირულად იბრძვის გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების სრული მოსპობისათვის და სოციალისტური სამშობლოს წმიდათაწმიდა მიწა-წყალს სწმენდს ჰიტლერელი ავაზაკებისაგან.

სტალინური პრემიის ლაურეატთა შენაძენი

სტალინური პრემიის ლაურეატებს — მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, მრეწველობის მუშაკებს, რომელნიც აღფრთოვანებული არიან მათი შრომის მაღალი შეფასებით, თავიანთი პრემიები შეაქვთ წითელი არმიისათვის ახალი საჭურვლის ასაგებად. თავიანთ წერილებში ლაურეატები პირობას აძლევენ ამხანაგ სტალინს, რომ მთელ თავიანთ შემოქმედების ძალ-ღონეს მოახმარებენ სამშობლოს კეთილდღეობას.

ამხანაგ სტალინის სახელზე მიღებულია წერილები სტალინური პრემიის შემდეგი ლაურეატებისა:

მ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური ბაზის ლაბორატორია „გორკი ლენინსკიეს“ გამგის დ. ი. ფილიპოვისა, აკადემიკოსებისა: ბ. ი. ვედენეევისა, ნ. ვ. ციცინისა, მ. ი. ავერბახისა, ა. ა. ბორისიაკისა, ი. ვ. იაკუშკინისა, პ. მ. ჟუკოვსკისა, ლ. ს. შტერნისა, პროფესორებისა: ი. ი. კუკოლევსკისა და ვ. ა. ენგელგარდტისა და მ. ნ. ლიუბიმოვასა, მრეწველობის მუშაკებისა: ნ. ა. ბლოხინისა, ა. გ. შერემეტიევისა, ა. ფ. მირციმოვისა, ი. ი. ჟურბინისა, ი. ნ. გოლიკოვისა, ა. ა. ოსმინკინისა, ი. გ. არზამასცევისა, ლ. ნ. კოშკინისა და სხვათა, წარმოდგენა „ვილპელმ ტელის“ მონაწილე მსახიობებისა: ა. შ. მელიქ-ფაშაევისა, ე. კრუგლიკოვასი, ნ. შპილერისა, ა. ბატურინისა, რ. ზახაროვისა და მხატვარ პ. ვილიამსისა, ლითონმჭრელი ჩარჩების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებისა—ი. ფ. მასლენიკოვისა, ი. ბ. ერაშერისა, ნ. ა. ვოლჩეკისა, გ. ი. ზუზანოვისა და სხვათა, პოეტ მ. ი. ალიგერისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტ ნ. ს. ხანაევისა.

ამხანაგი სტალინი სპასუხო წერილებში მადლობას უცხადებს ლაურეატებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე მათი ზრუნვისათვის. (საკდესი).

მთავარი საკრებულის განსაკუთრებულ ფონდში

კუბასის მაღაროელებს გეგმის გადამეტებით ამოღებული მთელი ქვანახშირი შეაქვთ მთავარი სარდლობის განსაკუთრებულ ფონდში. წინასწამსწრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ამას წინათ პროკოპიევსკელმა მნგრეველებმა ძმებმა არქიპო და ალექსანდრე კულებაკინებმა შეასრულეს დავალება: არქიპომ — 2.160 პროცენტით, ალექსანდრემ — 2.312 პროცენტით.

კისელიოვსკის სამადნოს № 1-2 შახტის მნგრეველმა იაკობ ანფრიევმა, რომელიც ძმების კულებაკინების ხერხით მუშაობს, ნორმა 2.713 პროცენტით შეასრულა და მთელი შახტის სადღეღამისო გეგმას ერთი მესამედით და უფრო მეტად გადაეჭარბა.

(საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 მარტის დილის ცნობა

27 მარტის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები დაკავებულ ზღუდეებს ამაგრებდნენ და დაზვერვას აწარმოებდნენ. ერთ უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დააზიანეს 3 ტანკი და 1 ჯავშნიანი მანქანა. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავების რაზმმა გვარდიის ლეიტენანტ შუმილოვის მეთაურობით მოწინააღმდეგის ზურგში შეაღწია და მტრის შორსმსროლელი ქვემეხების ბატარია აღმოაჩინა. ბატარიის ცეცხლითს პოზიციებზე 40-მდე გერმანელი ჯარისკაცი იმყოფებოდა. საბჭოთა მებრძოლები უეცრად დაესხნენ თავს მოწინააღმდეგს, მოსპეს 30 ჰიტლერელი, დანარჩენები კი ტყვედ წამოიყვანეს. მზვერავებმა ააფეთქეს გერმანელთა 3 შორსმსროლელი ქვემეხი და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

• • •

ქალაქ ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას და 7 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მარტო ერთ უბანზე მოსპობილია 150-ზე მეტი ჰიტლერელი და დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი. 6 შენაერთის არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 4 სანაღმმტყორცნო, 2 საარტილერიო ბატარია და 6 სატყვიამფრქვევი წერტი.

• • •

ბელგოროდის რაიონში 5 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიში და გაელიტეს მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებულია გერმანელთა 3 ტანკი და მოსპობილია 6 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა მძლავრი ცეცხლითი თავდასხმით გაანადგურეს გერმანელთა მოტორიზებული კოლონა და დაამტვრიეს რამდენიმე თვითმავალი ქვემეხი და 20 ავტომანქანა.

• • •

ლენინგრადის მისადგომებზე 2 დღის განმავლობაში საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 9 თვითმფრინავი და დაზიანებულია 3 თვითმფრინავი.

• • •

გომელის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 1-დან 15 მარტამდე გააადგურა გერმანელთა 3 კომენდატურა, გაელიტეს 53 ჰიტლერელი, მათ შორის 6 ოფიცერი. ამავე ხნის განმავლობაში პარტიზანებმა ააფეთქეს გერმანელთა 2 ეშელონი ჯარებიანად და ერთი შემადგენლობა საწვავიანად. პოლესიეს ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა მარტის პირველ ნახევარში ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 6 ეშელონი, დამტვრეულია 3 ორთქლმავალი და 58 ვაგონი.

• • •

სტალინგრადთან გერმანიის მე-6 არმიის ლიკვიდაციის დღიდან უკვე თითქმის ორმა თვემ განვლო. მაგრამ ჰიტლერელები ჯერ კიდევ ვერ მოსულან გონს. სტალინგრადის მარტო ერთი ხსენებისას ისინი ცუდად გრძნობენ თავს. ეს შიში თავის გამოხატულებას ჰპოვებს გერმანელ ჯარისკაცთა წერილებში, რომლებიც ხელთ ვიგდეთ ფრონტის სხვადასხვა უბანზე. ქვემოთ ქვეყნდება თარგმანი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოკლულ ობერ-ეფრეიტორ ვილი კეპერის წერილისა, რომელიც მას თავის ცოლისათვის უნდა გაეგზავნა: „სტალინგრადთან მოსპობილი მე-6 არმიის ბედი ჩვენ ყველას რაღაც კოშმარად გვაწევს გულზე. შეიძლება ითქვას, რომ არ არის არც ერთი ჯარისკაცი, რომელიც ლრმად არ იყოს შეძრწუნებული. არავის უნდა დაიჯეროს, რომ ჩვენ, გერმანელებს, ამგვარი რაიმე შეიძლებოდა მოგვსვლოდა. მაგრამ ეს ხომ სიმართლეა, რაც უნდა საშინელი იყოს ეს სიმართლე.. ამებამად ჩვენ დონეცზე ვიმყოფებით. გაღმა რუსეთი არ[illegible], საეჭვოა, შევძლებთ თუ არა აქ დიდხანს თავის შემაგრებას. მე ისეთი წინასგრძნობა მაქვს, რომ ჩვენ იგივე დაგვემართება, რაც დაემართათ იმ დივიზიებს, რომლებიც სტალინგრადთან იმყოფებოდნენ“.

• • •

ოსლოს რაიონში ნორვეგიელმა პატრიოტებმა გაანადგურეს ტოდტის ორგანიზაციის რაზმის შტაბი. მოკლულია 14 ჰიტლერელი, მათ შორის უბნის უფროსი. მოსპობილია დიდძალი საშენი მასალა, 6 სატვირთო ავტომანქანა და სხვა ქონება. ბერგენში პატრიოტებმა დასწვეს გერმანელ ოკუპანტთა საწყობი, რომელშიც სხვადასხვა სამხედრო მასალა იყო მოთავსებული.

28 მარტის საღამოს ცნობა

28 მარტის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

განვლილი კვირის მანძილზე, 21-დან 27 მარტამდე ჩათვლით, სპეციალური ბრძოლებში და მოწინააღმდეგის ავიაფლოტილიების მოსპობილია გერმანელთა 251 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 95 თვითმფრინავი დავკარგეთ.

• • •

27 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 5 ტანკი, 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაამტვრიეს 2 სარკინიგზო შემადგენლობა, ჩაახშეს მოწინააღმდეგის 11 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

• • •

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა გერმანელებისაგან გასწმინდეს ტყის ნაკვეთი, რომლისათვის ბრძოლებშიც მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 2 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი, 3 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, სამარი მასალათა საწყობი და რადიოსადგური. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფმა გამაგრებული პოზიციებიდან განდევნა ჰიტლერელები, ამასთან მოსპო 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ჩუგუევის ჩრდილოეთით ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს მოწინააღმდეგის ერთი ასეული, რომელიც შეეცადა რიდადოდ დონეცის მარცხენა ნაპირზე გადმოსულიყო. წამოღებულია დაჯილ და წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე გერმანელებმა შესძლეს სოლიანად შეშოკრილიყვნენ 6 ნაწილის განლაგებაში და დაეკავებინათ სოფლის განაპირა უბანი. ჩვენმა მებრძოლებმა გადამწყვეტი კონტრიერიშით განდევნეს მოწინააღმდეგე ამ სოფლიდან და აღადგინეს მდგომარეობა. მოსპობილია 300-მდე ჰიტლერელი და მოწინააღმდეგის 1 ტანკი და 1 თვითმავალი ზარბაზანი.

• • •

ბელგოროდის რაიონში მოწინააღმდეგემ მთელ რიგ უბნებზე სცადა დაზვერვა მოეხდინა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებში 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტეს და მოწინააღმდეგის 2 ჯავშნიანი მანქანა დაზიანეს.

• • •

ვოლინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 28 მარტამდე 80 ჰიტლერელი მოსპო. პარტიზანებმა გერმანელებს წაართვეს რამდენიმე საზიდარი საომარ მასალიანად და ხელთ იგდეს 5 ტყვიამფრქვევი და 60 შაშხანა.

• • •

ტყვე ლეიტენანტმა, გერმანიის მე-13 ქვეითი კორპუსის შტაბის სადაზვერო განყოფილების უფროსმა მთავარმენელმა ოტო ზინსკერმა განაცხადა: „ჩვენ თვეში ორჯერ ვადგენდით ცნობებს რუსების იმ ნაწილების ზარალისა და მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ჩვენი კორპუსის პირდაპირ იყვნენ განლაგებულნი. ახლა სასაცილოდ მიმაჩნია და ჭრაცხვენია მოგონება, მაგრამ ამ ცნობებში რომ თუნდაც 10 პროცენტი სიმართლე ყოფილიყო, ომი დიდი ხნის გათავებული იქნებოდა. მოსსენების შედგენისას ყველა ოფიცერი ან გენერალი შლიდა ყოველივე იმას, რაც არ ესიამოვნება ან სასურველი არ არის ჰიტლერისათვის, ვინც სხვანაირად იქცეოდა, ის კისერს იტეხდა. ჩვენ ჩვენს თავს ვატყუებდით და ამისათვის სასტიკად დავისაჯენით, რუსებმა როგორც ცნობილია, ჩვენი თავდაცვის ხაზი გაარღვიეს. კორპუსის შტაბისა და დემორალიზებულ ჯარისკაცთა ნაშთები ცდილობდნენ გზა გაეკეთებინათ დასავლეთისაკენ. შტაბს 200 ავტომანქანა ჰქონდა, მაგრამ იძულებული გავხდით ისინი მოგვეტოვებინა. ყველანი ქვეითად მივდიოდით. მე სოფელში შევედი და ტყვედ დაგნებდით“.

• • •

გერმანელმა დაშისტმა არამზადებმა საშინელი ბოროტმოქმედებანი ჩაიდინეს კურსკის ოლქის სოფელ ივნიცაში. უკან დახევისას ჰიტლერელებმა ცდილობდნენ თან წაეყვანთ მთელი მოსახლეობა. ბევრი მცხოვრები დაიჭალა, მაშინ გერმანელებმა სოფელს ცეცხლი წაუკიდეს და ნადირობა დაიწყეს მშვიდობიან მოსახლეობაზე. ჯარისკაცებს სარდაფებიდან ჯამოპყავდათ მამაკაცები, ქალები და ბავშვები. გერმანელებმა ცოცხლად დასწვეს კოლმეურნე ანტონინა დიმიტრიევა და მისი 10 წლის გოგონა, კოლმეურნე ლიუდმილა კუტინა და მისი სამი მცირეწლოვანი შვილი, მასწავლებელი ნადეჟდა კირიჩენკოვა, მისი ორი შვილი და 60 წლის დედა, მასწავლებელი ანა სლონინა და მისი ქალიშვილი, მასწავლებელი ლიდია აბროსინოვა და მისი სამი წლის ვაჟი და სხვანი. სოფლის დანარჩენ მცხოვრებთა უმრავლესობა გერმანელმა ბანდიტებმა ძალდატანებით თან გაირეკეს.

მცურავთა სრულიად-საკავშირო სასწავლო-საწრთვნელი შეკრება მოსკოვში

გათამაშება სსრ კავშირის პირველობისა ცურვაში

სრულიად-საკავშირო სასწავლო-საწრთვნელი შეკრებაზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან და წითელი არმიის ნაწილებიდან მოსულმა ჩამოვიდნენ ცურვისა და წყალში ხტომის სსრ კავშირის ყველაზე გამოჩენილი ოსტატები.

სრულიად-საკავშირო შეკრება გაგრძელდება 1-დან 20 აპრილამდე და დამთავრდება ცურვასა და წყალში ხტომაში სსრ კავშირის პირველობის გათამაშებით. საბჭოთა კავშირის 1943 წლის ჩემპიონების წოდებას ერთმანეთს შეეცილებიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ალიოშინა, მეშკოვი, ბოიჩენკო, კიტაევი, შუმინი, გაიკოვი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები და რეკორდსმენები.

26 მარტი. (საკდესი).

შეხვედრა კავკასიის დამცველ მებრძოლთა ჯგუფთან

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალთან არსებული საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისიის (კომისიის თავმჯდომარე აკადემიკოსი გ. ხაჩაპურიძე) ინიციატივით, კვირას, 28 მარტს, მოეწყო მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტისა და ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალების თანამშრომელთა, გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის წარმომადგენელთა და ქართველი მწერლების საზეიმო შეხვედრა კავკასიის დამცველი ჯავშნოსანი მატარებლების ნ დივიზიონის მებრძოლებთან.

დილით სახელოვან ჯავშნოსან მატარებელთა მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომელთა შორისაც უმეტესობას შეადგენენ ამიერ-კავკასიაში მოსახლე თითქმის ყველა ეროვნებათა შვილები, ესტუმრნენ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს, სადაც მათ დაათვალიერეს მუზეუმის განყოფილებები და გამოფენა. აქედან გმირ მებრძოლთა ჯგუფი მიიწვიეს საქ. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში, რომელიც უკვე სავსე იყო საზეიმო შეხვედრაზე დასასწრებად მოსული მკვრიმელებით.

საზეიმო შეხვედრა გახსნა აკად. გ. ხაჩაპურიძემ. მან აღნიშნა, რომ გერმანელ ფაშისტთა ურდოებისაგან ჩრდილო კავკასიის განთავისუფლების საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ჯავშნოსან მატარებელთა ნ დივიზიონის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

— აქ მოსულ სახელოვან მებრძოლთა შორის,—სთქვა აკად. გ. ხაჩაპურიძემ,— ბევრნი არიან საქართველოს მცხოვრებნი, ქართველი ხალხის საამაყო შვილები, რომლებმაც მტრის ურდოებს გზა გადაუღობეს და არ გამოუშვეს საქართველოს აყვავებული ველ-მინდვრების გადასათელად და მშვიდობიანი მცხოვრებლების ასაწიოკებლად.

საზეიმო შეხვედრაზე მამაც მებრძოლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს მწერლებმა, სახელით ორდენოსანმა მწერალმა დ. შენგელაიამ და გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკთა კოლექტივის სახელით ამხ. ლ. ებანოიძემ.

შეხვედრაზე დამსწრე მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით სიტყვები წარმოსთქვეს ორდენოსანმა მაიორმა მ. ივანენკომ, ორდენოსანმა კაპიტანმა ი. ზაბოტინმა და ორდენოსანმა სერჟანტმა დ. ხაჩაპურიძემ.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწემ, ალექსანდრა ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით არსებულმა მეჩონგურეთა ანსამბლმა. ანსამბლის გამოსვლის წინ სიტყვით გამოვიდა საქ. სსრ სახალხო არტისტი ორდენოსანი კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი.

ჯავშნიან მატარებელთა დივიზიონის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, დაჯილდოებულნი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით (მარცხნიდან მარჯვნივ) — სხედან: **ბ. ცომაია, ზ. ხუდადოვი, რ. ვერბიცკი, ს. არტიუშინი, დ. ხაჩაპურიძე, გ. ტარსკი**; დგანან: **ა. ფედოტოვი, ი. დიაჩკოვი, ა. ხრომენკო, ნ. ქართველიშვილი** და **მ. მუჯარიძე.**

ფოტო გლ. გინზბურგისა

29 მარტის დილის ცნობა

28 მარტის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

დასავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები მიმდინარეობდა. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა ღამე იეიოში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და ხელჩართული ბრძოლის შედეგად ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხიშტებითა და გრანატებით მოსპეს 100-ზე მეტი ჰიტლერელი. წამოღებულია 5 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, რამდენიმე კოლეტი შაშხანა და ავტომატი. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავებმა მოწინააღმდეგის ზურგში შეაღწიეს და თავს დაესხნენ გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონას, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. მზვერავებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპეს 70 ჰიტლერელი.

• • •

ქალ. ბელის სამხრეთით მოწინააღმდეგემ სცადა დაებრუნებინა წინადღიან დაკარგული პოზიციები და იერიში მოიტანა 6 ნაწილის გვარდიელებმა იერიში მოიგერიეს და თავდაპირველ პოზიციებზე უკუაგდეს ჰიტლერელები. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 150 გვამი. სხვა უბანზე 6 შენაერთის ნაწილებმა სამი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

• • •

ბელგოროდის რაიონში 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა ღამის ბრძოლაში მტრის 80 ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა, რომელნიც ბრძოლით ეწეოდნენ დაზვერვას, 50-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპეს. წამოყვანილია ტყვეები.

• • •

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ შესძლო შეეღწიოს ჩვენი ქვეგანაყოფები. ფლანგებიდან შემოვლითი მოქმედებით გერმანელები გარშემორტყმულ და მოსპობილ იქნენ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი.

29 მარტის საღამოს ცნობა

29 მარტის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილებანი არ მომხდარა.

• • •

28 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი, ჩაეხუმეს მოწინააღმდეგის საველე და საზენიტო არტილერიის 5 ბატარეა.

შავ ზღვაში ჩვენმა ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 4.000 ტონა წყალწყვისა.

• • •

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა მტრის წინააღმდეგობა სძლიეს და მისი დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს. მოსპობილია მტრის 160 ჯარისკაცი და ოფიცერი. სატანკო ეკიპაჟმა გვარდიის უფროს ლეიტენანტ ბალანდინის, ზემდეგ პუსტოვალოვისა და სერჟანტ ნეიმულინის შემადგენლობით ამ ბრძოლაში გერმანელთა 3 ტანკი დააზიანა და მუხლუხებით გასრისა მოწინააღმდეგის სანაღმტყორცნო ბატარეა. გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ტულენკოვის ტანკის ეკიპაჟმა მოსპო გერმანელთა 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 4

მ. ი. კალინინი

სამამულო ომი და ეროვნული ომი

ბნელ ღამეში გერმანიის არმია უეცრად შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა მთავრობამ მაშინვე შეიგნო მთელი სიღრმით მნიშვნელობა იმისა, რაც მოხდა, და ომის პირველი დღეებიდან მოუწოდა საბჭოთა კავშირის ხალხებს სამამულო ომისაკენ აგრესორის წინააღმდეგ.

ჰიტლერელმა გერმანიამ მსოფლიოს თავს მოახვია ახალი ომი, რომელსაც იგი ტოტალურ ომს უწოდებს და რომლის შესახებაც გერმანელი გენერლები, დიდი და პატარა ფიურერები ბევრს ლაქლაქობენ სპეციალურ სამხედრო ლიტერატურაშიც და საერთო ლიტერატურაშიც.

მაგრამ რაში მდგომარეობს ფაშისტური ტოტალური ომის დედააზრი? მისი იდეა გერმანიის იმპერიალისტმა დამპყრობლურ მისწრაფებათა ნიადაგზე აღმოცენდა, და იგი ყველაზე უფრო სრულად გამოხატავს გერმანელი პლუტოკრატების პატივმოყვარე ზრახვებს. ჰიტლერულმა ფაშიზმმა გერმანიის თავზე-ხელღებულ იმპერიალისტ მტაცებლებს მისცა პოლიტიკური დასაყრდენი, ხოლო ჰიტლერის სახით—მეთაური. გერმანელი იმპერიალისტები ფიქრობენ, რომ მათი აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად საკმარისი არ არის ძველი საშუალებანი და რომ მხოლოდ ტოტალური ომის სისხლიანი გზით შეუძლიათ მიაღწიონ მსოფლიო ბატონობას.

თანამედროვე ომში ჰიტლერულმა გერმანიამ გაცილებით უფრო ფართო და აგრესიული მიზნები დაისახა იმასთან შედარებით, რის განხორციელებასაც კაიზერის გერმანია ცდილობდა. თუ წარსულ ომში გერმანიის იმპერიალიზმი ცდილობდა ხელში ჩაეგდო და დაემორჩილებინა სხვისი ტერიტორიები, ამოცანად ისახავდა მსოფლიო ბაზარზე მთელი რიგი ხელსაყრელი პოზიციების დაკავებას, ჰიტლერული გერმანია ამასთან ერთად ამოცანად ისახავს მთელი ხალხების ფიზიკურ განადგურებას, მათი სახელმწიფოებრიობის, მათი ნაციონალური კულტურის მოსპობას.

გერმანიის სამხედრო ხროვის წარმოდგენით, ტოტალური ომი თავიდანვე ისე უნდა იქნას წარმოებული, რომ მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ქვეყნის მთელი მატერიალური რესურსები და ადამიანთა რეზერვები. ტოტალური ომი ფაშისტებს ყოველგვარი საშუალებისა და მეთოდის გამოყენებას მოწონაღმდეგის გასანადგურებლად, ამაში შედის: გერმანული ფაშიზმის საყვარელი მეთოდი—შანტაჟი საერთაშორისო ასპარეზზე, მეზობელ ხალხთა სამხედრო სიფხიზლის მიძინება რწმუნებით, რომ მას მშვიდობიანი ზრახვები აქვს და მეგობრულად არის განწყობილი, ხოლო შემდეგ უეცარი თავდასხმა მათზე; საიდუმლო მოტყუება და ცილისწამება; გამაყრუებელი პროპაგანდა ომის შესახებ, ვითომც გერმანიის არმია განსაკუთრებით ძლიერია და მის იარაღს განსაკუთრებული უპირატესობა აქვს; გადაკვრით მითითება ომაზე, რომ მას ვითომც მოეპოვება რაღაც განსაკუთრებული სამხედრო საშუალებანი, რომლებიც ჯერ არავის უნახავს; სხვადასხვა დამშინებელ საშუალებათა გამოყენება; ქალაქების დანგრევა, სოფლების გადაწვა, სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ხოცვა, მრავალი მამაკაცის, ქალის, ქალიშვილისა და მოზარდის გერმანიაში გარეკა კატორღულ სამუშაოებზე; ცდა იმისა, რომ ისეთი შიშისზარი დასცენ მთელი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას თავიანთი ბატონობით, რომ შებოჭილ იქნას ხალხთა წინააღმდეგობის ნებისყოფა. სამხედრო თავდასხმა ისეთ პირობებში ხორციელდება, რომლებიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია თავდამსხმელისათვის, რათა მოწინააღმდეგეს არ მიეცეს თავისი რეზერვების თავმოყრისა და გამოყენების საშუალება, რათა უეცრად გაანადგუროს მისი სამხედრო ძალები, მორალურად დასცეს იგი და გასტეხოს მისი წინააღმდეგობის ნებისყოფა, დანაგრიოს და მოსპოს მისი მატერიალური ბაზა—ასეთია გერმანული ტოტალური ომის დამახასიათებელი თვისებები.

ტოტალური ომის თავისებურობებზე თვალსაჩინო წარმოდგენა მიიღეს პოლონეთის, ჰოლანდიის, ბელგიისა და საფრანგეთის ხალხებმა. მაგრამ განსაკუთრებით დახელოვნებულად ანხორციელებენ მას ჰიტლერელი კაცუჰამიები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი სატანისებური სადიზმით ხოცავენ ასეულათასობით უმწეო საბჭოთა ადამიანებს, სპობენ მატერიალურ და კულტურულ ღირებულებებს, და თავშეგებული ფაშისტური ურდოები ამას სჩადიან არა ყაჩაღური თარეშით გაბრუებისას, არამედ ზემოდან ზუსტად დასახული გეგმით, რომელიც შემუშავებულია ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე.

ტოტალური ომის ეს ფორმები და მეთოდები, რომლებსაც ჰიტლერელთა ხროვა ანხორციელებს, იწვევენ ისტორიულ ანალოგიებს წარსულთან—ჩინგის-ყაენის ომებთან აზიაში და ბათოს ომებთან რუსეთში. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ გერმანელებს თავიანთი მოქმედებით, შეიძლება ითქვას, გადმოაქვთ ამ დამპყრობელთა მიერ ომის წარმოების ხერხები, რომლებსაც ისინი ატარებენ თანამედროვე დიდად განვითარებული სამხედრო ტექნიკის შეცვლილ პირობებში.

მაგრამ ეს, ისე ვთქვათ, მარტოოდენ გარეგნული მსგავსებაა. ბათოს შემოსევა მოხდა 700 წლის წინათ, იგი, მართალია, ბარბაროსული იყო, მაგრამ მაინც არ ატარებდა ისეთ დახელოვნებულ მზეცურ ხასიათს, როგორც ტოტალური ომი, რომელსაც გერმანელები ქადაგებენ და ეწევიან. აქ ფაშისტებს უეჭველი პირველობა უკუთვნით. განვლილ საუკუნეთა მანძილზე მეცნიერებამ დიდად წაიწია წინ, და გერმანელები მას მთლიანად იყენებენ ადამიანთა წამებისა და წვალების უფრო გასამჯობესებლად.

ჰიტლერელთა ურდოები ჩვენს მიწა-წყალზე ეწევიან საომარ მოქმედებას არა მარტო წითელი არმიის წინააღმდეგ, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგაც. ფაშისტთა საარდლობა ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში ანხორციელებს ბრმვიდობიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკური მოსპობის ფართოდ მოსაზრებულ სისტემას. უამრავი დოკუმენტალური მასალები, რაც ჰიტლერელი სამხედრო უფროსებისა და სამოქალაქო ხელისუფლებისაგან გამომდინარეობს, სრული მოცულობით აშკარავებენ თანამედროვე კანიბალების მეთოდებს, რომლებიც პირმოთნელია ხალხის გეგმაზომიერი მოსპობისაკენ, მისი ნაციონალური კულტურის, სასწავლებლების, აღმოფხვრისაკენ ისტორიული ძეგლების მოსპობისაკენ, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების, ერთი სიტყვით, ყოველივე იმის გაძარცვისაკენ, რაც ისტორიულად ჩამოყალიბებული ერის სულიერ ღირებულებას შეადგენს.

ამუჩად აგდება, წამება, მასობრივი მკვლელობა ომის განგრძობის თითოეულ დღესთან ერთად სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს და შორს იტოვებს უკან ყოველივე იმას, რაც ყველაზე საშინელი რამ ყოფილა რომელიც ენებავთ ხალხის ისტორიულ წარსულში. ყოველივე ეს მიმართულია ერთი მიზნისაკენ—დემორალიზებულ, ჩაკლულ იქნას დამონებულ ხალხში ბრძოლის ნებისყოფა და ამ გაწმენდილ ფონზე თავისუფლად ჩაიდინონ თავიანთი ფაშისტური ბოროტმოქმედებანი. გერმანელი ფაშისტები ომს ტოტალურს უწოდებენ, არსებითად კი ეს არის ფაშისტი ბანდიტების პირდაპირ ყაჩაღობა ევროპის შარაგზაზე.

ის, რასაც გერმანელები საბჭოთა კავშირში სჩადიან, ტოტალური ომის გეგმების თანახმად არანაკლებ მასშტაბით უნდა ყოფილიყო განხორციელებული მათ მიერ ოკუპირებულ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც. ამის მთლიანად განხორციელებაში გერმანელებს ხელს უშლის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი. მაგრამ რამდენადაც კი შეუძლიათ, ისინი ყველგან ატარებენ ევროპელი ხალხების დამონების თავიანთ გეგმებს. და მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც განზრახ ხუჭავენ თვალებს, შეუძლიათ არ დაინახონ, მაგალითად, ის, რომ გერმანული ფაშიზმი თანმიმდევრობით ეწევა პოლონელი ეროვნების მოსპობის, პოლიტიკას, რათა აღმოსავლეთისაკენ წამოსწიოს გერმანელ მემამულეთა და კულაკთა მასიები.

გერმანელებს ეკალივით ესობათ თვალში, მაგალითად, ჰოლანდია, რომელიც ხელს უშლის გერმანიას გამოიყენოს ზღვის სანაპირო ინგლისის წინააღმდეგ. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ფაშისტური მთავრობა „ურჩევს" ჰოლანდიელებს გადასახლდნენ უკრაინაში, რათა მათ ადგილებში დასახლოს რეიხი გერმანელები და ამრიგად შეჭამნოს მოწინავე ბასტიონი ინგლისის წინააღმდეგ. ამავე დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს სურთ გერმანელთა მაგვრად ჰოლანდიელები გაბადონ უკრაინელ პარტიზანთა ტყვის მსხვრევლად.

ანალიზი რომ გავუკეთოთ ფაშისტური მთავრობის პოლიტიკას, მის სამხედრო მეთოდებს, ოკუპირებული ქვეყნების მართვის წესებს, დავინახავთ, რომ ფაშისტების მთელი მოქმედება თანმიმდევრობით გამომდინარეობს მათი ჯოჯოხეთური გეგმიდან, რომლის დედააზრი მარტივია: გაელატონ ევროპის ქვეყნების მუშათა და გლეხთა აქტიური ნაწილი, ამოსწყვიტონ ინტელიგენცია, ეკაგერმანელონ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის გაგერმანელებაც კი შეიძლება, მონებად გადააქციონ დაპყრობილი ხალხები. შეიძლება ვინმემ სთქვას, ეს პირწმინდა ფანტასტიკა არისო. მაგრამ გერმანელებს, რომ გაემარჯვნათ? საერთო უდავოა, რომ ისინი შეუდგებოდნენ ამ გეგმების გატარებას ყველგან, ისევე როგორც მათ ატარებენ საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ რაიონებში.

საბჭოთა ხალხმა ჰიტლერულ ტოტალურ ომს უპასუხა დიდ, სამამულო ომით, სამართლიანი ომით, რომელსაც იგი აწარმოებს სამშობლოს დასაცავად პირსისხლიანი აგრესორისაგან. საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს ღრმად აქვს შეგნებული ის საფრთხე, რომელიც ემუქრება არა მარტო მას, არამედ მის ოჯახსაც, ჩვენში დამყარებულ მთელს ცხოვრების წყობილებასაც. და საბჭოთა ხალხის ბელადმა ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს მოუწოდა სამამულო ომისაკენ, ე.-ი. მთელი ხალხის ომისაკენ, ომისაკენ ხალხის ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

ამხანაგმა **სტალინმა** 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში განუმარტა ჩვენს ხალხს, რომ „ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი არა მარტო ორი არმიის ომია. იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ".

ამხანაგმა **სტალინმა** მოუწოდა საბჭოთა ადამიანებს შეჰქმნან მტრის მიერ დაპყრობილ რაიონებში პარტიზანული რაზმები, სადივერსიო ჯგუფები მტრის არმიის ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად, ყველგან და ყოველ ადგილას პარტიზანული ომის გასაჩაღებლად, ხიდების, გზების ასაფეთქებლად, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ქსელის გასაფუჭებლად, ტყეებისა, საწყობებისა და ავალებისათვის ცეცხლის წასაკიდებლად. „დაპყრობილ რაიონებში უნდა შეექმნათ აუტანელი პირობები მტრისათვის და ყველა მისი დამქაშისათვის, უნდა ვდევნოთ და მოვსპოთ ისინი ყოველ ნაბიჯზე, უნდა ჩავშალოთ ყველა მათი ღონისძიება".

ამხანაგ **სტალინის** ეს პრაქტიკული მითითებანი გერმანელების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე საბჭოთა მოქალაქეების მოქმედების შესახებ ცხადჰყოფენ სამამულო ომის ფორმებსაც, ნათელჰყოფენ მის დამახასიათებელ თავისებურებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ჩვენი ადამიანი, როგორც მამაკაცი, ისე ქალი, თავისი აზრისა და მოქმედების მთავარ მიზნად უნდა ისახავდეს — ურტყას მტერს ყველგან და ყოველ ადგილას.

სამამულო ომში, მტრის წინააღმდეგ უშუალო გრძოლაში ხალხის მონაწილეობის ისეთი ფორმა, როგორიც არის პარტიზანული მოძრაობა, უკვე თავისთავად ნიშანია იმისა, რომ ეს ბრძოლა საყოველთაო-სახალხოა, და მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასად მიაჩნია თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შეუძლია გამოიჩინოს ამდენი მამაცობა, გამბედაობა და თავდადებული გმირობა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფაშისტმა მეთაურებმა თავიანთ თავზე გამოსცადეს ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის ნაციონალური სიმტკიცე და უდიდესი პატრიოტიზმი, მისი ღრმა სიძულვილი და შეურიგებლობა გერმანულ ფაშიზმთან, და რაც უნდა ეცადონ გერმანელი დამპყრობნი ყოველნაირად აღმოფხვრან თავიანთ მიმართ საბჭოთა ადამიანების ეს ღრმა მტრობის გრძნობები, ამას ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ. პარტიზანული ბრძოლა, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება, არ აძლევს მტერს მანევრის თავისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე და გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენს ამ ტერიტორიის ეკონომიური ათვისებისათვის. ის გარემოება, რომ მოსახლეობა მორჩილი არ არის, მძიმე პირობებში აყენებს საოკუპაციო არმიას. ზარალი, რომელიც მას, მოსდის ოკუპირებული რაიონების, მოსახლეობის უტყვ მონებად გადაქცევისათვის ბრძოლაში, სულ უფრო და უფრო იზრდება. ჩვენი ხალხი სულ უფრო და უფრო შეურიგებელი ხდება, სულ უფრო და უფრო მეტი გააფთრებით იბრძვის იარაღით ხელში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ხალხები თავიანთ წმიდა ომში პატრიოტული მოვალეობის გრძნობით, საბჭოთა სამშობლოსათვის სიყვარულით გამსჭვალულნი, თავდადებით ახმარენ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს თავიანთი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. საბჭოთა კავშირი სახალხო განმათავისუფლებელ ომს ეწევა. ეს ომი რომ ნამდვილად სახალხოა, ამას მოწმობს საბჭოთა ადამიანების უდიდესი პატრიოტიზმი, მათი თავდადება ფრონტზე და ზურგში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ყოველ საბჭოთა მოქალაქეს აქვს შეგნებული, რომ მან მთელი თავისი ძალ-ღონე, უნარი და სასარგებლო უნდა მოახმაროს გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლას. და სსრ კავშირის ხალხები უთანაბარი მაგალითებით ნათელჰყოფენ ამ თანაბარ მაღალ გრძნობებს დიდ სამამულო ომში.

საბჭოთა პატრიოტიზმის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავთა ესკადრილიების ასაგებად სახსრების შეგროვების კამპანია, რაც კოლმეურნეთა ინიციატივით დაიწყო და რასაც შემდეგ მუშები და ინტელიგენცია გამოეხმაურნენ. და ჩვენმა გლეხებმა, მუშებმა, ინტელიგენციამ, მოსამსახურეებმა ერთიერთი თვის განმავლობაში ნებაყოფლობით შეაგროვეს რამდენიმე მილიარდი მანეთი. ჩვენს ხალხს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომი სახალხო ომად მიიჩნია. და ეს ბუნებრივია, იმიტომ, რომ გერმანული ფაშიზმი ომობს არა მარტო წითელი არმიის წინააღმდეგ, არამედ მთელი ხალხის წინააღმდეგაც, რომლის აქტიური ნაწილი მას სურს გაქლიტოს, ხოლო დანარჩენი—დაიმონოს.

სამამულო ომმა უმაგალითო აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა ხალხში, გააღვიძა მთელი მისი ჯერ კიდევ არა საკმაებრივ გამოვლენილი ძალები. ჩვენმა ხალხმა ომიანობის ამ თვეების მანძილზე მოგვცა გამოგონებათა უდიდესი რაოდენობა ყველა დარგში—სამხედრო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო დარგებში. გასაოცრად მოკლე ვადებში სრულდება ყველაზე რთული დავალებანი. ჩვენი ხალხი თავდადებით ახმარს არა მარტო მატერიალურ ფასეულობებსა და შრომას, არამედ მთელ თავის შემოქმედებითს ძალებსაც ბრძოლას უბოროტეს მტერზე გამარჯვების რაც შეიძლება მალე მოსაპოვებლად.

ეს ომი ჩვენთვის რომ სახალხო, სამამულო ომია, ამას ყველაზე უკეთ მოწმობს ის ქვედინობა, რომელიც აქვს ამხანაგ **სტალინის** მოწოდებას საბჭოთა ადამიანებისადმი ფრონტზე, ზურგში და მტრის მიერ დროებით დაკავებულ ტერიტორიაზე. და რა ხრიკებსაც უნდა მიმართოს გერმანელთა სარდლობამ ფრონტზე, რაც უნდა გაძვრეს ტყავიდან ჰიტლერული მთავრობა, გერმანელ ფაშისტთა ურდოები დამარცხებული და სამარცხვინოდ განდევნილი იქნებიან ჩვენი ქვეყნიდან.

სამამულო ომი მთელი საბჭოთა ხალხის მთავარი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მიზანი გახდა ახლანდელ მომენტში, და ამ დიდ სამართლიან ომში იგი გაიმარჯვებს.

გადაჭრით გავაძლიეროთ საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპები

ზუგდიდელ კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე

ზუგდიდი („კომუნისტის" სპეც. კორ.). ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ი ენერგიულად იბრძვიან იმისთვის, რომ პირნათლად შეასრულონ სოციალისტური შეჯიბრებრები ნაკისრი ვალდებულებები. სოფ. ძველი აბასთუმნის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. თოდუა) ჩაის პლანტაციების ბარვა ნაცვლად 15 მარტისა, რაც ნაკისრი იყო, დამთავრებულ იქნა 10 მარტისათვის. ვადაზე ადრე დამთავრდა აგრეთვე სასამინდე ფართობების პირველი ხვნა 140 ჰექტარზე, ვენახისა და თუთის ნარგავებში ნიადაგის დამუშავება და რემონტი, ხოლო ტუნგოს პლანტაციის ბარვა ნაცვლად 30 ჰექტარისა ჩატარებულია 41 ჰექტარზე. კოლმეურნეობაში მომზადებულია ყველა კულტურის თესლი. გეგმის გადამეტებით ეწყობა ბოსტანი 3 ჰექტარზე. უკვე დარგულია კომბოსტო და კარტოფილი მთელ ფართობზე, რაც გათვალისწინებული იყო. ვადაზე ადრე შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხორცის, ტყავისა და კვერცხის ჩაბარების 1943 წლის ვალდებულებანი.

ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ზუგდიდის რაიონის ინგირის ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშები. სტახანოველი მუშა მიხეილ ჩახაია, რომელიც 60-ზე მეტი წლისაა, დღიურ ნორმებს 160 პროცენტით ასრულებს. გეგმებს ორმაგად, სამმაგად და ზოგჯერ ოთხმაგადაც ასრულებენ მუშები: ჩაბატოვა, ბელეკაია, გოგოლევა, ტიმონოვა.

წარმატებით შეუდგა საგაზაფხულო სამუშაოებს ზუგდიდის მტს-ი. მტს-ის 6-იე ბრიგადა გასულია მინდვრად და მათ უკვე მოხნეს 400-მდე ჰექტარი. სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ჟ. ქირია ხელმძღვანელობს, საგაზაფხულო ხვნის გეგმით გათვალისწინებული 190 ჰექტარიდან უკვე დამუშავა 127 ჰექტარი, ლ. კვარაცხელიას ბრიგადამ 290 ჰექტარიდან—100 ჰექტარი. ტრაქტორისტები იოსებ ცაავა, ალ. მიქაია, გრ. მიქავა და სხვ. ნაცვლად 2,8 ჰექტარისა დღეში ხნავენ 3,2—3,5 ჰექტარს.

ამჟამად ზუგდიდის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დაწყებულია საგაზაფხულო ხვნა და 20-დან 25 მარტამდე ნაცვლად წინა ხუთდღიურში მოხნული 340 ჰექტარისა მოიხნა 850 ჰექტარი, სულ კი მოხნულია ფართობის 50 პროცენტამდე. ხვნა უკვე დაამთავრეს სოფ. ძველი აბასთუმნის კოლმეურნეობამ, სოფ. ოდიშის კოლმეურნეობა „კომუნარმა", აგრეთვე სოფ. რუხის ლ. ბერიას სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა. რაიონი უზრუნველყოფილია სამინდის თესლით, ხოლო ლობიოს და სოიას თესლის დანაკლისის შეძენა მთავრდება.

კოლმეურნეობებში 40 ჰექტარი ბოსტნისათვის სანერგეში დათესილია კომბოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი და სხვ., დანარჩენი 60 ჰექტარისათვის კი თესვა ახლა ჩაღდება. საბოსტნე ნაკვეთებზე გატანილია 3.200 ტონა ადგილობრივი სასუქი. კოლმეურნეობებს მთლიანად დამუშავებული აქვთ სათამბაქოე ნიადაგი 100 ჰექტარზე და საჭირო თესლ მასალისათვის ჩატარებულია თესვა. პლანტაციებში წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა, ვენახების ბარვა, ორხების გაწმენდა. ჩაის პლანტაცია 3.102 ჰექტარიდან უკვე გასხლულია 1.400 ჰექტარზე და დამუშავებულია 2.010 ჰექტარზე. ვენახის გასხვლის გეგმა შესრულებულია 60 პროცენტით.

მაგრამ რაიონში არიან ჩამორჩენილნიც. სოფ. ანაკლიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ძ. ჯანაშია) 221 ჰექტარ ასამინდე ფართობიდან მხოლოდ 70 ჰექტარი, სოფ. ურთას XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში—172 ჰექტარიდან 30 ჰექტარი, სოფ. ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 12 ხარი ისე დასუსტებულია, რომ მუშაობა არ შეუძლია; მუშა ხელი მთლიანად არ არის გამოყენებული სამუშაოზე. სოციალისტური ნაკისრი ვალდებულებანი მთლიანად შესრულებულ იქნა ბლანტაციების გაფანტვა, თავრეულისა ჩაის ბლანტაციების გაფანტვა, ციტრუსების რემონტი.

თვალსაჩინოდ იზრდება შრომის ნაყოფიერება. კონკურენტის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლ. კოსტავა) კოლმეურნე სეგო მამინაშვილმა ერთ დღეს ციტრუსოვანთა გასაშენებლად 70 ორმო მოამზადა და ორნახევარი შრომადღე გამოიმუშავა, ორმაგად ასრულებენ დღიურ ნორმებს კოლმეურნეები ალიდორე კოსტავა, შოთა მჭავია.

სოფ. შრომის ორდენოსან კოლმეურნეობაში კოლმეურნეები ნოე ჩხაიძე, მიხეილ ყავნტარაძე, ელენე ხელაძე, პარმენ ჯაბუა, სანდრო ქარცივაძე დღიურ დავალებებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას კოლმეურნეები უპასუხებენ შრომის ნაყოფიერების ზრდით. კოლმეურნეობები ზრდიან სათეს ფართობებს. სოფ. გურიანთის კოლმეურნეობამ წელს 30 ჰექტარი ახალ მიწა აითვისა.

ლ. ლოლაძე

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ (ტელეგრაფით). 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ხაშურის რაიონის კოლმეურნეები ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხებენ. კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება უხვი სამეურნეო მოსავლიანობისა. ალის, ალ. ფუმაცხოვის, წრომის, გომის, აგარის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს ქერის თესვა.

დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. ჭარხლის თესვა დაწყებულია ცხრამეხის კოლმეურნეობაში. წელს კოლმეურნეობებში წინა წლებთან შედარებით 136 ჰექტარით მეტი შაქრის ჭარხალი ითესება.

დ. ᲨᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ („კომუნისტის" საკ. კორ.). ... ბოლოდროინდელ ... ...